

სადადგმო და/ან საგასტროლო ხარჯით თეატრების ხელშეწყობის მიმართულებით ხელი შეეწყობა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიმართულებობის სფეროში შემავალ რეგიონების პროფესიულ სახელმწიფო თეატრებს და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიმართულებობის სფეროში შემავალ პროფესიულ სახელმწიფო თეატრებს, მათ შორის: ოპერისა და ბალეტის თეატრის მიერ მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 20 000 ლარს, დრამატული თეატრის მიერ მოთხოვნილი თანხა - 10 000 ლარს, ხოლო თოჯინების თეატრის მიერ მოთხოვნილი თანხა - 7 500 ლარს.